ნინო გორგაძე --სსსმ და შშმ პირთა მხარდამჭერი სერვისების კოორდინატორი, პროფესიული უნარების სააგენტო

პროფესიული უნარების სააგენტოს პრიორიტეტები

პროფესიული უნარების სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად, აქტიურად მუშაობს, რათა პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და ხელს უწყობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცის შექმნას, სხვადასხვა მხარდამჭერი სერვისების განვითარებით.

ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლების საფეხურზე ჯერ კიდევ 2013 წლიდან დაიწყო და მას შემდეგ, სისტემაში არაერთი მხარდამჭერი მექანიზმი შემუშავდა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომის გაზრდის მიზნით, გაჩნდა სსსმ და შშმ პირთათვის გამოყოფილი სპეციალური კვოტა თითოეული პროგრამის ფარგლებში, მათ შორის 2023 წლიდან დუალურ პროგრამებზეც. შემუშავდა სსსმ და შშმ პირებზე ჩარიცხვის მორგებული პროცედურა, პრაქტიკული მოსინჯვა. გარდა იმისა, რომ სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ჩარიცხვის შემდეგ, თითოეულ სსსმ სტუდენტზე გამოყოფილია დამატებითი კვარტალური, ვაუჩერული დაფინანსება, სტუდენტის სწავლის ხელშეწყობის მიზნით. ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ჟესტური ენის თარჯიმნის, ინდივიდუალური ასისტენტის, მობილობისა და ორიენტაციის სერვისი. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა ტრანსპორტირებასაც. ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, სწავლება შესაძლოა წარიმართოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზეც.

ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები შემდეგი მხარდამჭერი სერვისების/ პროგრამების დანერგვის მიმართულებით:

- შშმ/სსსმ პირთათვის კარიერის მართვის სპეციფიური სერვისის - საორიენტაციო სერვისის დანერგვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინკლუზიური განვითარების გუნდის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სსსმ/შშმ პირთა ინდივიდუალური ასისტენტის მომზადების პროგრამის მომზადება.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული უნარების სააგენტო,ინკლუზიური განათლება.

Nino Gorgadze - Coordinator of support services for persons SEN and disabilities, Skills Agency Georgia

Priorities of Skills Agency Georgia

Skills Agency Georgia, together with Ministry of Education, Science and Youth, works actively to have an equal access on vocational education to every interested person, including persons with special educational needs (SEN) and disabilities, and promotes to create inclusive educational space in VET institutions developing various support services.

Implementing inclusive vocational education has been started since 2013 and after that several supporting mechanisms has been developed in the system. In order to increase to vocational education programs, a special quota for persons with SEN and disabilities was created within each program, including dual programs since 2023. Procedure of admission to programs (Practical testing) tailored to persons with SEN and disabilities has

been developed. In addition to tuition being funded by the state, after enrollment, additional quarterly, voucher funding is allocated to each student with SEN and disabilities to support their education process. Vocational students with SEN and disabilities are provided with different services such as an inclusive professional education specialist, a sign language interpreter, an individual assistant, mobility and orientation trainer. If necessary, the institution also provides transportation for students. In accordance with individual needs, teaching may be conducted with an individual curriculum.

Nowadays is currently underway to implement the following supporting services/programs:

- Implementing specific career orientation service for persons with SEN and disabilities;
- Promoting continuous professional development inclusive education team of VET institutions;
- Developing individual assistant program of person with SEN and disabilities.

Keywords: Skills Agency Georgia, inclusive education.